შეუწყნარებელი თვითდამშვიდება

მოსკოვი. 5 სექტემბერი. “დინამოს” სტადიონზე გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი “ა” კლასში. თამაშობდნენ მოსკოვის “ლოკომოტივი” და თბილისის “დინამო”.

შეხვედრის წინ წამოვიდა კოკისპირული წვიმა, რომელიც არ შემწყდარა მთელი მატჩის მსვლელობაში.

პირველი ტაიმი მოსკოველებმა მოიგეს ანგარიშით 2:1. პირველი ბურთი გაიტანა ვოროშილოვმა, ხოლო საპასუხო – ხასაიამ 11–მეტრიანი დარტყმიდან. ტაიმის დასასრულს სოკოლოვმა დაახლოებით 20 მეტრიდან ძლიერად გაგზავნა ბურთი კარში – 2:1.

შესვენების შემდეგ თამაშმა მთლიანად დაკარგა სპორტული ბრძოლის სახე. რკინიგზელებმა თვიდანვე ხელთ აიღეს ინიციატივა და 45 წუთის განმავლობაში მატჩს ცალ კარში წვრთნის ხასიათი ჰქონდა.

კოვალიოვმა ზედიზედ გაიტანა ორი ბურთი და მალე სოკოლოვმა ანგარიში 5–მდე გაზარდა. ერთადერთი წარმატება, რომელიც თბილისელებს ჰქონდათ, ეს იყო ჭკუასელის მიერ გატანილი გოლი საჯარიმო დარტყმიდან.

მოსკოველებმა ახალი იერიშები განავითარეს. “დინამოს” დაცვა უძლური იყო მათ წინააღმდეგ, ხოლო თავდასხმა პასიურად შესცქეროდა თუ როგორ გადიოდა ბურთები მათს კარში. აპუხტინმა, კოვალიოვმა, ვოროშილოვმა და სოკოლოვმა კიდევ თითო ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში და მატჩი დამთავრდა მოსკოვის “ლოკომოტივის” გამარჯვებით ანგარიშით 9:2. მათვე მოიგეს დუბლიორთ შეხვედრა – 5:0.

ეს სამარცხვინო დამარცხებაა. თბილისის “დინამოს” “ა” კლასში თავისი არსებობის ისტორიაში ჯერ არ განუცდია წაგება ასეთი ანგარიშით. ეტყობა, გუნდი და მისი ხელმძღვანელობა ყოვლად უსაფუძვლო თვითდამშვიდებას მიეცა სპარტაკიადაზე მიღწეული წარმატების შემდეგ.

“ლელო”, 9 სექტემბერი, 1956 წ.